22
80
08

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპალოული № 4

ხალხური კალენდარი



1908

მცირე

წლოვანთათვის.

დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

I — საშობაო საჩუქრები. — (ლეკსი), შ. მდივანბეგიანისა 3

II — „ზღვენია“ — ი. გვალოშვილისა 5

III — პატარა ქრისტეს შობის ხე. — (ოარგმანი რუსულიდან) ო. ბანისა 10

IV — პატარა მეხრეს წერილები. — შეხრეკ ილიოზისა 14

V — ნაძვის ხე. — (ოარგმანი) ოვო კანდელაკისა 17

VI — ვირის თავგადასავალი. — (ფრანგულიდან) ნ. ამილახვრისა 21

VII — ა) გამოცანა, — ბ) ზმა. — ლეკლიშვილისა — ბ) რებუსი და აღსნა 24

საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის

899.969.1(03)
5-22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-IV. № 24 დეკემბერი 1908 წ.

893.3

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საშობაო საჩუქრები.—(დუქსი), შ. მდგომელისა 3

II—„ზღვენია“.—ი. კედროშვილისა 5

III—პატარა ქრისტეს შობის ხე.—(თარგმანი რუსულიდან)
ო. ბისა 10

V—პატარა მეხრეს წერილები.—მეხრე ილიაოსი 14

V—ნაძვის ხე.—(თარგმანი) თეო კანდელაკისა 17

VI—ვირის თავგადასავალი.—(ფრანგულიდან) ნ. ამიდასგრისა 21

VII—ა) გამოცანა,—ბ) ზმა.—დედაშვილისა—გ) რებუსი
და ალნა 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშოგაო საჩუქრები

(ვუძღვნი თამროს და ნინას)

ამამ კურდღელი მოგვგვარა
და დასვა შორი-ახლოსა,
ისე ადექნეთ თვალ-ეური
ხელი არაკინ ახლოსა.

ახლაკვე მოგვგრით კიდევა
ბაწია ძაღლს და ფისოსა,
ეთამაშევით შორიდამ
ზედ არვინ წეიგლისოსა.

კურდღელს მოუტათ კომბოსტო,
ცუგოს და ციცოს ბურები,
და წეალი მაშინ მოართვით,
როცა დაცქვიტონ ეურები.

გავუმასბინძლდით გულ-უხვად,
ვზიდეთ, რაც გვეგულებოდა,
სისარულისგან ვცქმუტავდით,
გული მტკაველზე ხტებოდა.

მაგრამ ვინ უგდებს საჯმელს ეურს:
ერთმანეთს გადაჰეურებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კბილს ადგამენ, არც ბირსა,
არც ტუჩებს აცმაცუნებენ.

ეკითხეთ: რატომ არ მიირთმევთ,
ბრან ყველაფერი მეტია?!...
იქნება წყალი გწყურია,
კურდღელო ეურებ ცქვეტია?

და კიდეც მოგურბეინეთ
ბატარა ჯამით წყალიცა,
ზედ მეტად ჩვენი წილ-კერძი
ეურძენიცა და მსხალიცა.

მაგრამ არ მოვკვდეთ, არც ერთის
ენაც არ გამოეოფილა!
მერე-კი მიეხვდით, რომ ყველა
თურმე თისისა ეოფილა!...

შ. მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზღვენია“

ესე დაუბარდნავს, ისე, ისე, რო შენი მოწონებული!— წარმოსთქვა კარზე მიმდგარმა გელამ, ერთს წუთს უცქირა თოვლის ბაწია გარსკვლავებს, რომლებიც ერთმანეთში არეულნი ზლაზვნით ჩამოდიოდნენ ძირს და ისეგ მიიხურა კარები.

— შრშანდელმა ზამთარმა უთოვლოდ გაიარა და ამიტომ ხალხი დაამშივა მოუსავლობამ.

— ეჰ! ამოიოხრა გელამ თავის ცოლის სიტყვებზე და დაჯდა ბუხართან. ჯერ ერთი ქალამანი აიდო ხელში, გადაბრუნ-გადმობრუნა, მერე მეორე და ნაბდის ფიჩვს, რომელსედაც თვითონ იჯდა, წააჯრა დანით ხელის ტოლა ორი ნაჭერი ქალამნების წასაგებად.

მისი ცოლი კი ახლად გაღვიებულს ცეცხლს ასწორებდა, უბერავდა და ბატარ ბატარა წკრიალებს ურთებდა.—მოიცათ, შვილო, ჯერ ნუ ადგებით, ცეცხლი გაჩაღდეს! აფრთხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ცეცხლს მოუმარჯვეთ, ცეცხლს!.. მოისმა გარეგან გელას ხმა, ორივე კარი ერთად გააღო და ჩქარი ნაბიჯით ბუხრისაკენ წამოვიდა.

— ზღვენია, შობის ზღვენი, ნამდვილი ზღვენი! აღტაცებული იმეორებდა გელა და ტაფის კალთებში შეხვეული ხბო წენარად დაუშვა ბუხრის წინ.

— ეოჩაღ შინდავ, ბარაქალა, შინდავ, კაი ხბო მოგიგია! — წარმოსთქვა სიხარულით სახე გაბრწყინებულმა დიასახლისმა და ისეთი სიუვარულით მიაშტერდა ხბოს, თითქოს აკვანში თვის ჭირმშოს ჩაჭყურებდა.

ბალღებიც წამოიჭრნენ და მთელი ოჯახი გარს შემოეხვია სტუმარს.

— სახარეა, ქედი კარგი უჩანს, ისე მოეჭიდება უღელს, როგორც ედიის ძუძუს.

დიასახლისმა ცეცხლს უფრო უმატა... ბალღები ხან ხუჭუჭა წელზე უსვამდნენ ხბოს ხელს, ხან ქოჩორა თავზე ჭკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნიდნენ. მართლაც და მშვენიერი ხბო იყო: დიდი შავი თვალები, შინდის ფერი ქურქი, შუბლზედ თეთრი მრგვალი ნიშანი, თავ-ოჩორა, კუდ-ქიცინა". ცეცხლის სითბოზე კუდს ხან აქეთ გადაიგდებდა, ხან იქით. კოცნა, ხვევნა, ალერსი მას თითქოს ათამაშებდა, და ნებივრობდა. ხან უკანა ფეხებს გაშლიდა ასადგომად, ხან წინებს, მაგრამ ჯერ სუსტი იყო და ისევ ძირს ეშვებოდა.

— ჯერ პატარა ხარ, ჩვენო ფუჩინავ, პატარა. იწექ ცეცხლის პირას. ერთი ორიოდ დღის შემდეგ კი იპროწიალებ, — უალერსებდა დიასახლისი.

— დედა, დედა, რა დავუძახოთ ფუჩინას? ეკითხებოდნენ ბალღები.

— „ზღვენია" შვილო, შობის ზღვენია.

ეს სახელი ყველას მოეწონა. „ზღვენია", „ზღვენია" ჩვენი პატარა „ზღვენია", მისცეს დიასახლისს ბანი აქეთ-იქიდან.

— დაიდოცა, ღმერთო, შენი განგება. აი რაზე ამიცხადა... წუხელის სიზმარში ერთი ძალაზე მოხუცებული, უმწეო ბერი კაცი მოვიდა ჩვენი ქოხის კარებთან გასაგთხად. მე დღეისთვის შენახული ერთად ერთი ჭაღი გადავუტეხე შუაზე და მივეცი.

— ქრისტე იქნებოდა... ვინაცვალე იმის შობა-დაბადებას. იტყვიან ხოლმე, ხალხის გამოსაცდელად ელასის ტანისამოსით დადის სანდასანო, — წარმოსთქვა დიასახლისმა და მოწიწებით ჭირჯვარი გადაიწერა.

ცეცხლი გამხიარულდა. დაღვრეშილს ქოხს შუქი მოჰფინა, თითქოს ისიც დღესასწაულობდა „ზღვენიას" დაბადებას.

— ეხლა კი გვექნება საშობაო სადილი. „ზღვენია" ჩვენც გვარგუნებ, შინდას რძეს! სთქვა გელიამ და ალერსით წაავლო ხბოს ეურზე ხელი, თითქოს უღელი უნდა დაადგასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო, „ზვენია“, ჩვენც ხომ გვაჭმევ რძეს? ეკითხებოდნენ ბალღები ხბოს.

— მუუ! მუუ... შემოჭბღაოდათ ქვეშიდამ შინდა. ის ეძახდა თავის ჩვილ შვილს და გელას საწველურით, რომ რძით საგსე ცურები დაეცალათ.

— „ზღვენია“, ჩვენი ჰატარა „ზღვენია“ ისმოდა ქოხში გელიას გასარეცული ოჯახის ქვილ-სივილი.

ი. ევდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქრისტეს შობის ხე

(თარგმანი რუსულით)

ოთახში სიჩუმეა. კანდელი ოდნავ-ღა ანათებს. მეათე საათია, მაგრამ კოტეს თვალები დაუჭეტია და ძილი არ ეკარება, გულზედ ხელს იდებს და გრძნობს, როგორ უსტის. ფეხებსაც უნდათ იხტუნონ, თითქოს მთელი დღის განმავლობაში არ დაღალულიყვნენ. ღმერთო, შობის ხე!—ფიქრობს კოტე,—განა არის რამე ქვეყანაზე შობის ხეზე უშშვენიერესი? არა, არა, და არა! რამდენი სათამაშოები, რამდენი ხილი!—კოტე სიამოვნებით ილოკავს ტუჩებს. ნათლის ღებამდინაც ვერ გაათავებს იმ ლენ ხილს; ახლა რამდენი დაურიგა საწყალ ბავშვებს... კოტეს თხოვნით მიიწვია დედამ შობის ხეზე. რა გაშტერებულები შესცქეროდნენ საწყლები მორთულ ხეს! რა უხაროდათ!.. მოსარეცხეს ვასოს, მეკარის ობლებს... ოჰ, ნეტავი შეიძლებოდეს, მოვიწვიოთ ხოლმე ყველანი, ყველანი, რაცა-კი ღარიბი ბავშვები არიან. მაგრამ კოტე რომ ვერ იცნობს ყველას. მერე რა შესაბრალისნი არიან, რომ დავფიქრდეთ... არას დროს.. არა.. სს... დროს არა აქვთ შობის ხე, არც სისარულით ეკებებიან პატარა ქრისტეს დაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას! კოტეც რომ ერთი იძათგანი იყოს?... არა, არა!— ცოტას გაწყდა არ დაიყვირა ჰატარამ, ისეთნაირად ეტკინა გული.

ღმერთო! ეოველთვისა მქონდეს შობის ხე!...

კოტემ წამოიწია, დაეერდნო ბალიშს და დაუწყო ცქერა ხატს. კანდელის შუქი ძლივს ანათებდა ბავშვის დადონებულ სახეს ღვთის მშობლის ხელში. დიდხანს უყურა კოტემ და თვალებში ცრემლი მოერია... ასე მოსდის ეოველთვის, როდესაც დიდხანს უყურებს ხატს. ღრმა მწუხარება ისატება ღვთის მშობლის სახეზე... ჰატარა ქრისტე ხომ მთლად უდელვებს გულსა და სულს.

რად არის ეოველთვის ესე დადონებული?...

თავის დაბადების წინა დღეს, როდესაც ბავშვს ძლივს ამინებენ, კოტე უსაძღვროდ მხიარულია ხოლმე: ხტის, დარბის, დაუსრულებლად შესტიტინებს დედას და გაძღელს სულ ხვალინდელ დღეზე!... ჰატარა ქრისტე კი ისევ დადონებულია. რაც მეტს უყურებს კოტე ხატს, მით უფრო ეცოდება დადონებული მაცხოვარი. ათასნაირი ფიქრი უტრიალებს თავში...

საბრალო, საბრალო ქრისტე! ყარეხში დაიბადე... რბილ ლოგინის მაგივრად ჩალაზე იწექი... ხმელი ლოგინი, სიცივე... ჩვენ კი ემხიარულებთ მაგის დაბადებაზე... გაჩადებული შობის ხე, საჩუქრები, მხიარულება! დაკრბიკართ, ეხმაურობთ!... ჰატარა ქრისტეს კი შობის ხე არა ჰქონია!...

ამ აზრმა თითქოს წამააგდო კოტე ბალიშიდან. დიდხანს იდგა დაჩოქილი, გულსელ დაკრებილი თავის ლოგინში და შესცქეროდა ხატს.

მაშ არას დროს არა ჰქონია ქრისტეს შობის ხე! საწყალი, საწყალი ბავშვი!—დუდუნებს კოტე და თან ცრემლები ჩამოსდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე... რომ გავუკეთო... შობის ხე? ერთსელ მაინც ჭქონდეს მაგასაც!

მაცხოვარი იღიმება. კოტემაც გაიღიმა, გადმოხტა ფეხშველი ლოგინიდან და ნელ-ნელა, როგორც თავები გაძვრა სასტუმროში.

ესლავ, ჩემო ჰატარა ქრისტე! ესლავ შენც გექნება შობის ხე, რომელიც ჩემს მეტს ჯერ არავის გაუკეთებია შენთვის.

სასტუმროში ჯერ ისევ იდგა ჩამობდღვნილი შობის ხე. ფანჯრიდან მთვარე ანათებდა.

აგერ მაგიდაზე დიდი მაკრატელი დარჩენიათ, რომლითაც სჭრიდნენ ხიდან საჩუქრებს.

კოტემ აიღო მაკრატელი და დიდი ტოტი მოსჭრა; აიღო და თავის საწოლ ოთახში შეიტანა.

— როგორ დავაკონო ტოტი სატის წინ?.. მართლა, სატს უკან ბოთლი დგას ზეითუნის ზეთი.

სავსე არ არის; შეიძლება შიგ ჩავარჭო ტოტი და ისე დავდგა.

ახლა უნდა მოვრთო ხე!... საუკეთესო ეუთები და ხილი ქრისტესათვის... მხოლოდ შოკოლადის ცხენს დავიტოვებ ჩემთვის... არა, იმასაც დაკიდებ. მერე რა ლამაზია!

სკამი მიიდგა, ზედ ავიდა და შეუდგა საქმეს. ძალიან ჩქარობს, თითები დაიჩხვლიტა. შეიძლება დედა ან გამდელი შემოვიდნენ... მაშინვე ლოგინში ჩააწყვენენ და ქრისტე უშობის ხეოდ დარჩება... სანთლებიდა აკლია! ერთსელ კიდევ გაისერა კოტემ სასტუმროში, მუჭით სანთლის ნამწვები და შანდლები მოიტანა, მაგრამ მათი მიმაგრება კი ძალიან გაუჭირდა:

ტოტები მეტად წვრილები იყო და დაკიდულ ნივთებისგან ძირს ჩამოწვნენ.

სამმა ანთებულმა სანთელმა გაანათა სატი. მაცხოვარი ბევრად უფრო მხიარულად იყურებოდა ესლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილო ქრისტე! გიხარიან?... არა, ეროი სანთელი კიდევ ხის წვერში ბეთლემის ვარსკვლავის ნაცვლად!

კოტემ წინ წაიწია, სკამი დატოკდა, ბავშვი გადმოვარდა და სკამი ზედ დაეცა.

დედა და გაძდელი შემოვარდნენ.

— კოტე, სადა ხარ?... რა დაგემართა?

დედამ დაინახა ბავშვი იატაკზე და მივარდა ასაყვანად,—ეს რა მოგიგონია? რა დროს ცელქობა ამ შუადამისას?!

კოტემ ტირილი დაიწყო.

— მე არა ვცელქობდი... მე მინდოდა შობის ხე გამეკეთებინა... პატარა ქრისტესთვის.

თ. ბ.



პატარა მეხრეს წერილები

წერილი მეხუთე

ალაქელებო! შობის დღეს გილოცავთ. დარწმუნებული ვარ, თქვენც ჩემებრ მხიარულებით გაატარებთ. ტანჯვით სავსე დღეებში ეს ერთი მხიარულიც გამოერია. წუხელ ჩვენში დიდი ამბავი იყო. ჯერ კიდევ მთელმა მეხრეებმა თავი სოლომანას დიდ გომში მოვიყარეთ. დიდი აურზაური ატეხა, თუ რომელ უბნიდან დაგვიწყო „ალილო“.

ზოგი ამბობდა მაშასახლისიდან დავიწყოთ, დიდი კაციაო, ზოგი ღვდლიდანაო. ბოლოს გადავწყვიტეთ ჩვენი სოლომანადან დაგვიწყო... ჩვენსა დედაჩემს ცხრა წვენა გეეკეთებინა და ჩვენმა ეშმაკმა სოფიომ ილაჯი წაიღო, გინდა თუ არა ცხრა წვენათი ძარსვა გამოვიტიროთო. დაჯრელებული კომბალი კუთხეში მეეუდა და ჩემი გუდა კი ირმის რჩხაზედ კოხ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვის ხე

(თარგმანი)

ერისტეშობისთვის მიწურული იყო შობა-ახალი წელიწადი კარებზე იდგა და თან ათასი სარჯი მოჰქონდა.

მაგრამ სოსანას ოჯახს ბევრი რამ აკლდა. ბალნები ძონძებში დაუდიოდა და არც თვითონ იყო თავის მეუღლით უკეთ ჩაცმული. შინ არა მოეძებნებოდა რა და ისევ ბაზრისათვის უნდა მიეძართა, მაგრამ ბაზრელები მუქთად არას იძლევიან და ხელცარიელ კაცს დიდ პატივს არა სცემენ. სოსანამ დასჯერა ტუეში ნაძვის ბაყილოები და მიულოცა ქალაქს დღესასწაული.

საღამომ მოიტანა; ერთი ეველასაგან დაწუნებული პატარა ხე და დარჩა გაუყიდავი. ნაგაჯრი ძარხილში ჩაალაგა, ზედ ის ხე დაადო და უკანვე წამოიღო. მიუახლოვდა თავის სოფელს, შემოუარა ძარხილს გარშემო,—ხომ არაფერი დამეკარგაო,—შეხედა ეურებ ჩამოერილ ხეს და იფიქრა:

—ნეტა რა ოხრად მინდა შინ რომ მიმაქვს! სახლს ეს ძრ გამითბობს,—სხვა სიკეთე მითხარ, თორემ შეშა იმდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს, რომ საკირეებს დაგწვავ,—და ბალღებს ვერ გამიხარებს! მე შენ გითხრა, დიდვაცებიანთ შობის ხვედ დაგდგამ და ტკბილეულობითა და ზიზილ—ჰიპილებით მოგრთავ!

დააყენა ძარხილი, გადმოიღო ხვდა გზის ჰირას თოვლში ჩაარჭო.

— აქ იყავ, შე საწყალო, ეგეულასაგან ათავალწუნებულო! მგზავრს გზას მაინც უჩვენებ ნამქერის დროს და ისიც მადლია!

—

დარჩა ნაძვის ხე ობლად თოვლით დაფენილ ტრიალ მინდორზედ, რომელსაც თითქო ღრძა ძილით ჩასძინებოდა.

კარგა დაძვე გაიარა. ერთი კურდღელი გამოცანცალებულიყო და უგზო უკვლოდ აქეთ-იქით აწუდებოდა, რომ მძიერს მგელს ასცდენოდა და ეშმაკ მელიას არ შეჰყეთებოდა. უცებ თოვლმა მოატეკა, თხრილში ჩავარდა და... უბედურ კაცს ქვა ადმართში მოწყვეთ.. ფეხი იღრძო. მაგრამ ტკივილისთვის სად უცალა, ან ვის აუტირდებოდა! ამ ტრიალ მინდორს უნდა გასცდენოდა და სადმე თავი შეეფარებინა, თორემ დაკოჭლებულს ბუც ადვილად დაიმორჩილებდა და თავლებს ამოსჩიჩქნიდა.

ლაჭლაჭებდა თოვლი მოყარიან ღაძეში. ეინვა თანდათან ძლიერდებოდა და ადმა-დადმა მეფურად დაბრძანდებოდა. გაიხმოდა ხრაშა-ხრეში ეინულისა ფეხ-ქვეშ. უცებ ქარიშხალიც ამოვარდა, ბობოქრდა და მოედო ტეესა და ველს; გამართა დიდი, დაიწყო მინდვრად ნავარდი და მორთო ღმუილი! სიჩუქით მოცულ არე-ქარეში მოისმა ტეიდან საზარელი ხარხარი, ბუკის ხმა ღამის რაინდის ბუკნაჭოტისა. აბდღვრიალებს ქარვის ფერ თვალებს და ეძებს თავის საკბილოს. გამოფრინდა ტეის ჰირას და შენიშნა კურდღელი. გაშალა ფთები და გასწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხდალ ჰირუტუვისაკენ... ჰკა, მიუახლოვდა კიდეც. ერთი წამიც და დააცხრება, იცდების ელანჭებში უძანგო მსხვერპლს და... მიაძღება მის ჩიჩას, დაითვრება იმის სისხლით! რა ჭქნას საწყალმა კურდღელმა! რა წყალს მიეცეს? ვის მიმართოს, რა გზით უშველოს თავს?! თრთის შიშრთ, კანკალებს და აქეთ-იქით აწუდება!

უსარია ბუს, აკაბუნებს კაკიან ნისკარტს, ელაპაკს სიამოვნებით ნერწყვს; ათამაშებს და ილესავს ჩანგალ-ბრჭყალებს, რომ ჩაურჭოს ზურგში კურდღელს და შეიღებოს იმისი სისხლით!...

ტრიალებს კურდღელი, თავბრუ ეხვევა, თვალთ უბნელდება, არაკეთი ელევა!... მაგრამ „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“... შემოიკრიბა უკანასკნელი ჯან-ღონე და ისკუპა ერთხელ, ისკუპა მეორედ, მესამედ და უცებ ჰაწია ნამვს კი წაწყდა; შემვრა იმის ეკლიან ტოტებ ქვეშ და გაიბა ოთელში!...

დასტრიალებს სიბოროტით გაჟეთრებული ბუ ნაძვის ხეს, მაგრამ ვერ უდგება კურდღელს... გადარჩა საწყალი ბუს ელანჭებს! გაწბილებული ბუ დაბრუნდა ტეის ჰირას ახალი მსხვერპლის სადარაჯოდ!...

—

ოჯლი კურდღელი მორჩა და ცხოვრობდა თავისთვის; დრდი ბევრი ჭქონდა, მაგრამ ცოტა რამ სიამოვნებაც მოეპოვებოდა. მოჯრილმა უძირ-უფსკო ნაძვმა ისინა სიკვდილისაგან საბრალო კურდღელი, რომელსაც, როგორც ეოველივე სულდგმულს, უნდოდა სიცოცხლე,—უნდოდა დამტკბარიეო ტეით, მინდვრით, მზის სითბო-სინათლით!

—

დადგა გაზაფხული, გადნა თოვლი. ნაძვის ხე გახმა, ფოთლები გასცვივდა. ერთმა მუშამ აიღო და ქვაბს შეუკეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღის შრომით დაღალულმა საღამოზედ ოფლი მოიწმინდა, გადაიწერა ჰირჯვარი, შეჭამადს გულიანად მიამდა და შეშას მადლობა შესწირა,—შენმა მირმა იხაროსო!

ნაძვი კი ხმას არ იღებდა; ისე განვლო თავისი სიცოცხლე, რომ ხმა არ ამოუღია: ტყეშიაც ჩუმად იზრდებოდა, თოვლშიაც ჩუმად იდგა დარაჯივით გზის ჰირად, და ქვაბის ქვეშაც ჩუმად დაიწვა. იმან ჩუმად შეასრულა თავისი მცირე მოვალეობა!...

თეო კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირის თავგადასავალი

(ფრანგულით) *)

IX ვირების დოლი

ალოდაგობით გავატარე ეს ზამთარი ტყეში. ძლივს გამოვიკვლევ აქა-იქ გამხმარი ბალახის ძირებით; როცა წვალი იეინებოდა თოვლს ვჭამდი და მივწვებოდი ხოლმე ნამვევ ქვეშ. შევთანასწორე ჩემი ცხოვრება იმ დროებასთან, როცა ჯორჯთან ვიუავი და ფერმერთონ; მანამ არ გავსარმაცდი და არ გავბოროტდი კარგად ვცხოვრებდი, მაგრამ მაინც არ ვისურვებ ჩემის მდგმოიარების გაუმჯობესობას, რადგან სრული თავისუფალი ვარ. ხანდახან წავიდოდი სოფელშიმინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ამ ქვეყნად.

ერთ გაზაფხულის დღეს გაოცებული ვუყურებდი რაღაცა მისვლა-მოსვლას, თითქოს სადღესასწაულოდ მომზადებულიეყვნენ სოფელში, ყველანი შეერილიეყვნენ, და რაც სახედრები ჰყვანდათ, სულ იქ მოეგროვებინათ. ამან უფრო გამაგვირვა. თავ თავისთან ბატრონების ეჭირათ ლამაზად მორთულ მოკაზმული, და უკავილების გვირგვინებით დამშვენებული ვირები, მხოლოდ შეკაზულნი კი არ იყვნენ. „უცნაურიაა. დღეს ხომ გამოფენის დღე არ არის? ნეტა რას აკეთებენ აქ ეს ჩემი მეგობრები ასე გასუფთავებულნი და მორთულნი, რა რიგ გასუქებულნი არიან! ეტყობა კარგად უჭმევიათ ამ ზამთარს.

ამ ფიქრით ჩემ თავსაც გადავავლე თვალი, დავინახე ჩემი გამხდარი ზურგი, შეგარდნილი ფერდები და აბურძგნული ბა-

*) იხილე „ნაკადული“ № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანი, მაგრამ მაინც ჩემს თავს ვგრძნობდი ბედნიერად და კარგად. სილამაზეს კმაყოფილება და ჯან სადობა მირწევნია! ეს ჩემი საკანგებოდ მოვლილი ამხანაგები ხომ ვერ აიტანდნენ იმ გაჭირვებულ ცხოვრებას, რაც მე ავიტანე ამ ზამთარს.“

მივუახლოვდი, რადა შემეტეო მიზეზი ამ ვორების ერილობისა, როდესაც ერთმა ემაწვილმა ბიჭმა, ოვალი შემესწრო და აიტეხა სიცილი.

— დახეთ, ამხანაგნო, აგერ, რა მშვენიერად მოვლილი ვირი მოგვეყვიდა!

— ძალიან მოვლილი არ არის, წაძოიძახა მეორემ, დიდში მონაწილეობა ხომ არ ნებამს?

— თუ აგრეა, გავუშვათ ეგეც, ფიქრი არ არის, ეგ ჯილდოს ვერ წაგვართმევს!

ერთობ სიცილი გამოიწვია ამ სიტყვებმა. მე აღშფოთებული ვიყავ ამ სულელი ბიჭების დაცინვით მივეხვდი, რომ დიდისთვის იყვნენ მომზადებულნი, მხოლოდ ის არ ვიცოდი, როდის და სად იყო დანიშნული. ამის გამო განვაგრძე ეურის გდება. ძალე წავალთ? იკითხა ერთმა.

— არ ვიცი, ამაზეა ლისს ელიან.

— სად იქნება დიდი, —იკითხა ერთმა ოხსულმა დედაკაცმა.

ვანო. წისქვილის დიდ მინდორზე დეიდა ტასია,

დეიდა ტასია. სულ რამდენი ვირი იქნებით აქ?

ვანო. სულ ერთიან უთქვენოდ თექვსმეტნი გასლავართ, დეიდა ტასი. ამ ხუმრობაზე ასტედა კიდევ სიცილი.

დ-და ტასია. სიცილით კაი ძასხარა ეოფილხარ, ბიჭო, მერე რა ჯილდოს აიღებს ეოფილი?

ვანო. სახელს ეოისვეჭს, ვერცხლის საათს ეიიღებს.

დეიდა ტასია. ნეტა მეც ვირი ვეოფილვიყავ, რომ საათი ეოფილეოდა, ჩემს დღეში იმდენი ფული არ მქონია, რომ საათი ეეიღნა.

ვინ. თქვენც რომ ვირი მოგეყვანათ, იქნება კიდეც მოგეგო. ამასწედაც ეველამ გადიხარხარა.

დეიდა ტასია. სად ვეშოვო, შვილო, ვირი? ვინ მომაქვავა? ან კი რას ვაჭშეედი მე უბედური?

ეს კეთილი და მხიარული სახის ადამიანი მეტად მომეწონა. ვიფიქრე, მოდი საათს მოვაგებინებ მეოქი. სირბილს ჩვეული ვიყავ, ტეეში ეო-ვეელ დღე დავრბოდი ჩემს გასათბობად. ისიც ვიცოდი, რომ ჩემს ჭენებას ცხენისას ადრიდნენ.“ მოდი ერთი ვცდი, კიდეც რომ არ მოვიგო, ხომ არას ვკარგავ, და თუ მოვიგე, დეიდა ტასიას სურვილს შევუსრულებ და ვუძღვნი საათს. წავედი, დავდექი უკანასკნელი ვირის ვეერდზე და მხიარულადაც ვიწეე ეროეინი.

ან. ამილახვარი

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოცანა

ერთი წვეს ❑და არა დგება
მეორე წავა და აღარ მოვა
მესამე სჯამს და არა ძღება

ზმა

მაკა კილოზე მეტყოდა:
ხილი არ ძიეკარს მენაო,
ვითამ არ იცი რაცა ვარ.
შე შარის თავო! შენაო!

მ. ლელაშვილი.

***

რებუსი

(შედგენილი გია ა—ძის მიერ)



***

მე-23 №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:

რებუსის ახსნა: კატა ეშმაკია.

გამოცანების ახსნა: 1, მაყვალი. 2, მსხალი.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიილეგა ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნ.კადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ხელის მოწერა ძიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პრ.ისპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-ქოქმწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**